საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 4 22 00811131

29/03/2022

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (განყოფილების უფროსი)
ბატონ **კონსტანტინე ღვინჯილიას**

ბატონო კონსტანტინე,

თქვენი 2022 წლის 28 მარტის N60-0122087561 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხილული იქნა ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირის დასაწყისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.01.010.011; 01.17.01.010.012; 01.17.01.010.048) სავაჭრო ცენტრის შენობის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

1. შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების, სახანძრო ჰიდრანტის მოწყობის საკითხს (აისახოს გენერალურ გეგმაზე).

2. დასაპროექტებელ შენობასა და მომიჯნავედ მდებარე შენობა-ნაგებობებს შორის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებს და ამ უკანასკნელის ფუნქციონალური დანიშნულების საკითხებს (აისახოს გენერალურ გეგმაზე).

3. მოცემული მისასვლელი და გასასვლელი გზების პარამეტრებს (გზების სიგანე, დასაპროექტებელი შენობიდან გზის სავალ კიდემდე დაცილება).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის,

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

აუცილებელია მშენებლობის სანებართვო პროცესის I სტადიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება-დამატებების შეტანა და კორექტირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს განსახილველად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

